ავტობიოგრაფია

დავიბადე 1971 წლის 9 ოქტომბერს, ქალაქ ზესტაფონში.

1986 წელს დავამთავრე ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპნის №1 საშუალო სკოლა.

1995 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეცფაკულტეტი და მომენიჭა ბიზნეს-იურისტის კვალიფიკაცია.

2000 წელს დავამთავრე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2002-2003 წლებში ვსწავლობდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ასპირანტურაში.

1997-1999 წლებში ვმუშაობდი ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. პარალელურად საქართველოს უმუშროების საბჭოს ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისიის პროფილაქტიკისა და სოციალური რეაბილიტაციის სამდივნოს ხელმძღვანელად.

1999-2002 წლებში ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ.

2003 წელს ჩავაბარე პროკურატურის მუშკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2002-2004 წლებში ვიყავი თბილისის საოლქო სასამართლოს, სასამართლო პრაქტიკისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი.

2004-2005 წლებში ვიყავი თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის აპარატის უფროსი.

2006 წელს ვმუშობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული სამსახურის უფროს სპეციალისტად.

2006-2007 წლებში ვმუშაობდი მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორად.

2007-2008 წლებში ვიყავი მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი.

2008 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2008 წლის აპრილიდან აგვისტომდე ვიყავი საგარეჯოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო აგვისტოდან დეკემბრამდე გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

2008-2017 წლებში ვიყავი მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

2015-2019 წლებში ვიყავი საპროკურორო საბჭოს წევრი.

2017-2019 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ამავე კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

2017 - 2021 წლებში ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2019-2020 წლებში ვიყავი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე და ამავე კოლეგიის თავმჯდომარე.

2020 წელს (აგვისტო-დეკემბერი) ვიყავი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

2020 წლის დეკემბრიდან ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

2022 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის დეკემბრამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე.

2023 წლიდან დღემდე ვარ საპროკურორო საბჭოს წევრი.

2024 წლის მარტიდან დღემდე ვარ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის სექტემბრამდე ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 2025 წლის 28 სექტემბრიდან დღემდე ვარ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ვასილ მშვენიერაძე

23.10.26წ